



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი №2**

ქ. ლანჩხუთი

15. 02. 2019 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ფაცურია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის

უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი გაა ნაჭყებია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მიმართა მერის მოვალეობის შემსრულებელს, გიორგი ფაცურიას, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ პროექტები მოწოდებულ იქნას რეგლამენტით განსაზღვრულ ვადაში, რადგან ბიუროს დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი, მაგრამ რეგლამენტის მიხედვით ორ პროექტთან დაკავშირებით დაირღვა შემოტანის ვადა. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარემ მოუწოდა ბიუროს წევრებს დღის წესრიგის პროექტს მხოლოდ ერთი საკითხი დამატებოდა.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ნაჭყებია/

4. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

5. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვალი, 11:00 საათი.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება არის რედაქციული ხასიათის.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება – კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3)პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4)მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 110 000 ლარით, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება. პროგრამით სარგებლობდა ქალაქის ადმისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 60 ბენეფიციარი და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან 38 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 106293 ლარი, საიდანაც 67333 ლარი გაიხარჯა ა(ა)იპ უფასო სასადილოს მიერ და 38960 გაიხარჯა ტენდერით.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 33750 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდგომარეობას. წლის განმავლობაში პროგრამით სარგებლობდა 30 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 33575 ლარი.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 56200 ლარით, პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ასევე ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებზე გათვალისწინებულია ბინის ქირის გადახდა. პროგრამით სარგებლობდა 56 ბენეფიციარი, მათ შორის ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალი. პროგრამიდან გახარჯულია 56100 ლარი.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 53000 ლარით. პროგრამის მიზანია ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით სარგებლობდა 80 ბენეფიციარი. პროგრამიდან დაფინანსდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახები (27 სექტემბერს, 8 აგვისტოს და ოსეთის კონფლიქტების დროს დაღუპული მეომრების ოჯახები) ოჯახებს საჩუქრად გადაეცათ 300 ლარი(სულ 15

ვეტერანის ოჯახი). ამავე პროგრამიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ვეტერანთა შეჭირვებული ოჯახებს (60 ბენეფიციარი), რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 130 000-ს ყოველთვიურად გაეწია 50 ლარით დახმარება, მათ შორის პირველი და მეორე ჯგუფის შშმ ვეტერანებისათვის ყოველთვიურად გაიცა 100 ლარით დახმარება (ორი შშმ ვეტერანი). ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახებზე გაიცა ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის ყოველთვიურად 50 ლარით დახმარება (8 ვეტერანი). ამავე პროგრამიდან განხორციელდა დედის დღესთან - მარტთან დაკავშირებით დაღუპული მეომრების დედების ერთჯერადად 200 ლარით დასაჩუქრება (15 დედა); მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება 9 მაისთან დაკავშირებით (9 ვეტერანი); ვეტერანებზე ერთჯერადად გაიცა დახმარება 300 ლარის ოდენობით. ომის მონაწილეთა ოჯახებზე გაიცა სარიტუალო თანხა 250 ლარის ოდენობით (7 ვეტერანის ოჯახზე). პროგრამიდან გახარჯულია 52 200 ლარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5500 ლარით. პროგრამის მიზანია სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა - იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (29 მოსწავლე). პროგრამიდან გახარჯულია 5490 ლარი.

6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა;

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 11700 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ „იავნანაში“ დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, ასევე დაფინანსდა ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება. პროგრამიდან გახარჯულია 11700 ლარი.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 36720 ლარით. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 21 ბენეფიციარი. პროგრამიდან გახარჯულია 36576 ლარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10 400 ლარით. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენად მიიღებენ

ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 61 ოჯახი. პროგრამიდან გახარჯულია 10200 ლარი.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 80000 ლარით. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება. მათ შორის „ც“ ჰეპატიტის პირველადი კვლევების თანადაფინანსება. პროგრამით ისარგებლა 265 ბენეფიციარმა. აქედან „ც“ ჰეპატიტის კვლევები დაუფინანსდა 18 ბენეფიციარს. პროგრამიდან გახარჯულია 65133 ლარი. პროგრამიდან 33 ბენეფიციარზე გაცემულია საგარანტიო წერილი-აღებულია ვალდებულება.

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 54180 ლარით.

პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ერთჯერადად გადაუდებელი შემთხვევისთვის კონკრეტული ბენეფიციარის დახმარება, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების დახმარება, მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა ოჯახში განხორციელდა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, ერთჯერადი ფულადი დახმარება. პროგრამით ისარგებლა 269 ბენეფიციარმა. აქედან სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასულ 4 ახალგაზრდას და სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული 1 ახალგაზრდის ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება. ამავე პროგრამის სხვა ხარჯების მუხლიდან მუნიციპალიტეტის მიერ შობის დღესასწაულზე და საახალწლოდ გადაეცათ საჩუქრები ტკბილეული პროდუქტები უფასო სასადილოს ბენეფიციარებსა და სოციალურად დაუცველ ოჯახებს. ტკბილეული გადაეცათ სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იანანა“-ს ბავშვებს და ლესის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის ბენეფიციარებს. ასევე, ტკბილეულით დასაჩუქრდნენ შშმ ვეტერანები. პროგრამიდან გახარჯულია 54180 ლარი.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 35300 ლარით. პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწია ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში. ასევე პროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების საშემე მერქნის შესაძენად ფულადი დახმარება. პროგრამით ისარგებლა 83 ბენეფიციარმა. აქედან სახლზე დახმარება გაეწია 34 ბენეფიციარს, ხოლო საშემე მერქნის შესაძენად 49 ბენეფიციარს. პროგრამიდან გახარჯულია 33200 ლარი.

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 500 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება. პროგრამით ისარგებლა 2 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 500 ლარი.

13. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“-ს სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 30 000 ლარით. პროგრამის მიზანია მუშის კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრეინინგს, ფსიქოლოგიურ ტრეინინგს, მონაწილეობას მხარდაჭერ საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამით ისარგებლა კლუბის წევრმა 44 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 30 000 ლარი.

14. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 600 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. პროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 600 ლარი.

15. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 70000 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბენეფიციარების დახმარება წლის განმავლობაში ერთჯერადად მედიკამენტების შესაძენად, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150 000-ს. პროგრამით ისარგებლა 469 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 69892.52 ლარი.

16. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4900 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება. პროგრამით ისარგებლა 7 ბენეფიციარმა. პროგრამიდან გახარჯულია 4900 ლარი.

წლის განმავლობაში სამსახურის მიერ 2157 განცხადებასა და წერილზე კანონით დადგენილ ვადებში მომზადდა პასუხები. სამსახურის მიერ მომზადდა 265 საგარანტიო წერილი. სხვადასხვა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით მომზადდა მერის მიერ გამოსაცემი 754 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი. საშემუ მერქნული რესურსის გაცემასთან დაკავშირებით დასკვნები და გადაუდებლად დახმარების გაწევის შესახებ 57 დასკვნა. სამსახური ასევე დაკისრებული სამსახურეობრივი ფუნქციის გარდა ყოველდღიურად უწევდა კონსულტაციას მოქალაქეებს მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამებით სარგებლობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე. სამსახურის მიერ მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე მათი მძიმე ჯანმრთელობის და ეკონომიური მდგომარეობის გამო გამოთხოვილი იქნა საინფორმაციო ბარათები. ასევე, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სამსახურის მიერ ადგილზე მისვლით მოხდა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის შეფასება (სულ 23 ბენეფიციარი), რომლებსაც გადაადგილებისათვის ესაჭიროებათ ეტლი და სათანადო ინფორმაცია მიეწოდა არასამთავრო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რომელთა დახმარებით მოწოდებული იქნა 8 ეტლი და მოსაწოდებელია კიდევ 16 ეტლი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის საქმიანობა დადებითად არის შესაფასებელი. ძალიან დატვირთულად მუშაობს, რისთვისაც მადლობის ღირსია. ის ასევე მიიჩნევს, რომ აღნიშნულ სამსახურს უნდა გაეზარდოს ბიუჯეტი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ალექსანდრე მახათაძე** დაეთანხმა კოლეგას და აღნიშნა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ეწევა გადატვირთულ საქმიანობას, რაც ნამდვილად გასათვალისწინებელი და დასაფასებელია. მისი თქმით, მიზანშეწონილია აღნიშნული სამსახურის თანამშრომლების წახალისება. ასევე აუცილებელია მათთვის ელემენტარული სამუშაო პირობების შექმნა.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის, ცისანა ურუშაძის მიერ წამოყენებულ წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შშმ ბავშვების სარეაბილიტაციო კურსებზე ტრანსპორტირებას, სამსახური აპირებს მოამზადოს პროექტის პაკეტი. მან მოუწოდა საკრებულოს მხარდაჭერისკენ, რადგან ამ კატეგორიის ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო კურსები მათი შემდგომი განვითარებისთვის. მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ამ კუთხით გარკვეული დაფინანსება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვაძე** მიიჩნევს, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური მართლაც შექების ღირსია და იმსახურებს დანამატის სახით წახალისებას.

ბიუროს წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ნამდვილად იმსახურებს მადლობას.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს სპეციფიკური საქმიანობა აქვს, რის გამოც უხდებათ მუშაობა დატვირთულ რეჟიმში, მაგრამ თანამშრომლები გულისხმიერად და სათანადოდ ემსახურებიან მოქალაქეებს. მან საკრებულოს სახელით მადლობა გადაუხადა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის

უფროსი გია ნაჭყეზიამ. მან აღნიშნა, რომ შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ძირითადი ამოცანებიდან, ფუნქციებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით. სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი სერვისი“. შემოწმებას დაექვემდებარა 2014 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. აღნიშნულ ა(ა)იპ-ში ადგილი ქონდა ფულის გათეთრების მცდელობას. ფაქტთან დაკავშირებული მასალები გადაგზავნილია პროკურატურაში. ასევე, 2015 წლის 13 ოქტომბერს სესხის სახით 10000 ლარი გადაცემული აქვს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-სთვის. ხელშეკრულების თანახმად, სესხი წლის შიგნით უნდა დაბრუნებულიყო, რაც შემოწმების პერიოდისთვის არ იყო განხორციელებული. აღნიშნული მასალები სასამართლოში არის გადაგზავნილი. ასევე, პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა გარკვეული სახის ხარვეზები.

2018 წლის 11 აპრილის მუნიციპალიტეტის მერიის #244 ბრძანების შესაბამისად ჩატარებული იქნა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ში დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დადგენის მიზნით შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება. შემოწმებით დადგინდა, რომ 2018 წლის 1 აპრილისთვის კლუბს 362 022 ლარის ფინანსური ვალდებულება გააჩნია. ა(ა)იპ-ში მიუხედავად იმისა, რომ გამოსწორებულიყო საშემოსავლო და განაცემთა ინფორმაციის დეკლარაციების სწორი შევსება და დროულად გადაგზავნა, კვლავ გრძელდება ნულოვანი დეკლარაციების წარდგენა. არის შემთხვევები დეკლარაცია საერთოდ არა არის გადაგზავნილი, რამაც გამოიწვია კლუბისთვის საურავების დარიცხვა. მ/წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება 14531 ლარს შეადგენს. ამ თანხის ამოღება მნიშვნელოვანი წყაროა ფინანსური დეფიციტის შესავსებად.

შემოწმებული იქნა მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“. შემოწმებას დაექვემდებარა 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 აპრილამდე პერიოდი. პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა გარკვეული ხარვეზები. მივლინებების შედგენისას რიგ შემთხვევებში ბრძანებებში არ არის აღნიშნული რამდენ დღეს, ან რის საფუძველზე იქნა მივლინებული ესა თუ ის პიროვნება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უფროსის მივლინებაში ყოფნის დროს ბრძანებით არ ხდება დირექტორის მოვალეობის შესრულების დაკისრება პასუხისმგებელ პირებზე. დარღვევებია ტრანსპორტის მომსახურების საქმეში. ტიპიური სახის შრომითი ხელშეკრულებები არასრულყოფილად არის გაფორმებული შტატტარეშე თანამშრომლებთან. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 19.10.2016 წლის #339 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორმა ვ. ჩხაიძემ გამოსცა ბრძანება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია ოთხი კაცის შემადგენლობით ცენტრში არსებული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების აღწერის თაობაზე, რომელიც 2016 წლის 5 დეკემბრამდე უნდა წარდგენილიყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის კომისიაში განსახილველად. ცენტრმა ქონების აუდიტორული ექსპერტიზის დასკვნის გარეშე, მისივე გადაწყვეტილებით სხვა ძირითად საშუალებებთან ერთად ჩამოწერა ავტომანქანა „ნივა“, რის საფუძველზეც ავტომანქანის საბალანსო ღირებულება ამოღებული იქნა ბალანსიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვენტარიზაციის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან. ინვენტარიზაციის ჩატარება კომისიის წევრთა არასრული შეამადგენლობით დაუშვებელია და ითვლება ბათილად. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს სამტატო ერთეულების რაოდენობის გაანგარიშება ხდება მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის, მუნიციპალიტეტის ფართობისა და დაავადებათა მართვის სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული რეკომენდაციით „საზოგადოებრივი

ცენტრი“-ს საშტატო ერთეულის მაქსიმალური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 18 ერთეულს, ნაცვლად დღეს არსებული 22 ერთეულისა.

შემოწმებული იქნა შპს „ლანჩუთი“. შემოწმებას დაექვემდებარა 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 ივლისამდე პერიოდი. პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების ელექტრონულ სააგენტოს საიტზე არ არის ატვირთული ხელშეკრულებები, ს/ზედნადებები და მიღება-ჩაბარების აქტები, რითაც დარღვეულია შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვის 10 დღიანი ვადა. ადგილი აქვს „მომწოდებლიდან“ ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, ს/ზედნადების წარმოდგენამდე თანხების ავანსად ჩარიცხვის ფაქტებს. 2016 წელს მუშა-მოსამსახურეებზე თანამდებობრივი სარგოს და რიგ შემთხვევაში ხარჯების თანხების გაცემა ზანკიდან გამოტანილი თანხების საშუალებით ხდებოდა, რომელიც აღრიცხული იყო სალაროს წიგნში. წიგნის წარმოება ხარვეზებითაა შესრულებული. 2016 წელს სესხის სახით 4000 ლარი მიცემული ქონდათ ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩუთი გურია“-სათვის, რომელიც წლის ბოლომდე უნდა დაებრუნებინა. შემოწმების დროს 2018 წლის ივლისისთვის თანხა არ იყო დაბრუნებული.

შემოწმებული იქნა ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“. შემოწმებას დაექვემდებარა 2016 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდი. შიდა აუდიტის მიერ 2016 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებით „კულტურის ცენტრში“ სერიოზული ფინანსური დარღვევები იყო გამოვლენილი, რომლის მასალები აჭარა-გურიის პროკურატურისათვის იყო გადაცემული. წინა შემოწმების დროს სისტემატიური ხასიათი ქონდა საშემოსავლო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენის ფაქტებს, რის გამოც ორგანიზაციას საურავის სახით 13719 ლარი დაერიცხა გადასახდელად. შიდა აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანება“-ში მნიშვნელოვნად გამოსწორდა აღრიცხვიანობა.

შემოწმებული იქნა ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტული სარაგბო-საფეხბურთო სკოლა“ 2016 წლის მარტიდან 2018 წლის მაისამდე და შპს „ლანჩუთის ლანჩუთი“ 2018 წლის 1 მაისიდან 1 ნოემბრამდე პერიოდი. პირველადი საბუთების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში ავანსად ხდებოდა გუნდის კვების თანხების ჩარიცხვა. ხელშეკრულებების თანახმად, მძღოლები თავიანთი სატრანსპორტო საშუალებებით უწევს მომსახურებას, მაგრამ წარმოდგენილ საბუთებზე არ არის დაფიქსირებული გარბენილი კილომეტრობა. არ არის დაწერილი ბრძანებები, თუ რის საფუძველზე განხორციელდა ესა თუ ის მომსახურება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესაწავლილია 24 (ოცდაოთხი) სხვადასხვა სახის განცხადება, რაზედაც მოხდენილია შესაბამისი რეაგირება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** თხოვნით მიმართა მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსს, რომ სამსახურის მიერ მომზადებული ყველა დასკვნა მიეწოდოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი უდავოდ თავისი საქმის პროფესიონალია. ის შესანიშნავად ასრულებს სამუშაოს და საუკეთესოდ უძღვება სამსახურის საქმიანობას, მაგრამ მას აინტერესებს, პროკურატურაში გადაგზავნილ მასალებთან დაკავშირებით მიმდინარეობს თუ არა შემდგომი გამოძიება და საერთოდ, როგორი ვითარებაა გამოძიების კუთხით. მუნიციპალიტეტის მერმა უნდა მოიკითხოს ამასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია.

მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსის განმარტებით, ა(ა)იპ „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანება“-ში პროკურატურამ შეძლო ნახევარი თანხის ამოღება. ამ შემთხვევაში ალბათ, გათვალისწინებულ იქნა ის, რომ პიროვნება არის მრავალშვილიანი და აღმკვეთი ღონისძიება არ გატარებულა. ასევე, ფეხბურთის სტადიონთან დაკავშირებით მოხდა თანხის ამოღება. რაც შეეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ლანჩხუთი სერვისი“-ს, ფაქტიურად დასაზუსტებელია არის თუ არა ის პიროვნება დამნაშავე, ვისზეც ა(ა)იპ-□□ □□□□□□□□. მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მისი სამსახურის უფლებები შეზღუდულია და როგორც ასეთი, მოძიებითი სამუშაოების ჩატარება არ შეუძლია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ საუბარია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანხაზე, რის გამოც სამსახურის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს, მით უმეტეს, რომ ისინი კიდევ აქეთ გამოთქვამენ გარკვეულ პრეტენზიებს. მისი აზრით, ამ საკითხს ცოტა სხვანაირი მიდგომა ჭირდება და ყველას უნდა მოეთხოვოს თავისი წილი პასუხი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვაძე** მიიჩნევს, რომ თანხა არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და აუცილებლად უნდა მოიკითხონ ინფორმაცია მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბატონ გია ნაჭყებიას გამოძიების ჩატარების უფლება არ აქვს, მაგრამ სამსახური, რაც შეუძლია კომპეტენციიდან გამომდინარე, ყველაფერს აკეთებს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, **კარლო კვიტაიშვილის** თქმით, ქართველები ცოტა არასწორი მენტალიტეტის ხალხია და ხშირად სათქმელს ხმამაღლა ვერ ამბობს, მაგრამ ხვალინდელი დღისა და შვილების უკეთესი მომავლის გამო უმჯობესია წყნარად არ იყვნენ და სათქმელი უნდა ითქვას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში.

ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთი უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:

მუხლი 1.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5 - ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 -ჯერ.

მუხლი 2.

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 31 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის განმარტებით, მე-3 მუხლში იყო ტექნიკური შეცდომა: 2 %-ის ნაცვლად უნდა ეწეროს 0,2 %.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი.

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

მუხლი 4.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

- 1) სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 20.00 ლა□□;
- 2) სამოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული) 16.00 ლარი;
- 3) სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე,) 73.00 ლარი;
- 4) საკარმიდამო 73.00 ლარი;
- 5) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის:
 - ა) სათიბი 20.00 ლარი;
 - ბ) სამოვარი 16.00 ლარი;
 - გ) სახნავი 73.00 ლარი;

მუხლი 5.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით.

მუხლი 6.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

- 1) ქ. ლანჩხუთი - 0,24 ლარი;
- 2) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში - 0,216 ლარი;

მუხლი 7.

- 1) ქონების გადასახადისაგან განთავისუფლდეს:
 - ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ-ს.
 - ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს.
- 2) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.
- 3) ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

- 1) „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 2) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჩოლობარგის ბიბლიოთეკას არ აქვს იატაკი. საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს, გიორგი ფაცურას, რომ რამდენიმე დღის წინ ქალაქში მოჭრილი იქნა ნაძვის ხეები. თუ შეიძლება ნაძვის მორები დაიხერხოს და ხის მასალა იატაკისთვის გადაეცეს აღნიშნულ ბიბლიოთეკას.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობს ამორტიზირებული და უსახური შენობები, რომელთაგან უმეტესი ნაწილი ირიცხება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე. გარდა იმისა, რომ ეს შენობები ძალიან აუშნოებენ მუნიციპალიტეტის იერ-სახეს, ასევე არიან ავარიულ მდგომარეობაში და შეიცავენ საფრთხეს. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის აზრით, უნდა მოიძებნოს რაიმე მექანიზმი, რათა ისინი გადმოეცეს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, რის შემდეგაც ამ შენობებთან დაკავშირებით გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** ყურადღება გაამახვილა ქალაქის ცენტრში არსებულ ყოფილი რესტორნისა და კინოს შენობებზე. მან აღნიშნა, რომ ყოფილი რესტორნის შენობის სახურავი გადმოწეულია და არის მისი ჩამოვარდნის საშიშროება, რასაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოყვეს. რაც შეეხება ყოფილი კინოს შენობას - იგი გადაქცეულია ნაგვის და ანტისანიტარიის ბუდედ. ამასთან, საერთოდ გაურკვეველია, თუ რა ხდება ამ შენობაში. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორია ამ შენობებთან დაკავშირებით სიტუაცია და შეიძლება თუ არა ამ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ მოგვარება.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **გიორგი ფაცურიამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობების მოვლა-პატრონობა მეტ-ნაკლებად ხორციელდება. მისი თმით, სოფელ ხაჯალიაზე ერთ-ერთი ასეთი ტიპის შენობა რამდენჯერმე იქნა გატანილი აუქციონზე, მაგრამ უშედეგოდ. ასევე ყოფილი კინოს შენობა, რომელსაც განკარგავს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“, ორჯერ იქნა გატანილი აუქციონზე, მაგრამ შენობის ღირებულება შეადგენდა დაახლოებით 50000 ლარს და ამის გამო აუქციონი ორივეჯერ ჩავარდა. რაც შეეხება ყოფილი რესტორნის შენობას, მის ირგვლივ მიმდინარეობდა სასამართლო დავა, რომელიც დასრულდა, მაგრამ სავარაუდოდ ცნობილი გახდა, რომ გარკვეული პრობლემები შეიქმნა მიწის ფართთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ზოგიერთი შენობა იმყოფება ყოფილი კოოპერატივების ბალანსზე და დღესაც დაყადაღებულია.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა ერთხელ მიმართა შუამდგომლობით სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს, რათა შენობები გადმოცემოდა მუნიციპალიტეტს ყოველგვარი დატვირთვის გარეშე, მაგრამ ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი. ის თავის მხრივ ეთანხმება საკრებულოს წევრებს, რომ პრობლემა ამ კუთხით საჭიროებს სერიოზულ მიდგომას და შეძლებისდაგვარად მოსაგვარებელია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, მისთვის გასაგებია სადაო შენობების ირგვლივ შექმნილი სიტუაცია, მაგრამ ისეთ შენობებთან დაკავშირებით, რომელთა გადმოცემა შეიძლება მოხდეს მუნიციპალურ საკუთრებაში, საჭიროა გაკეთდეს ერთობლივი წერილობითი თხოვნა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ასეთი შენობების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის შემდეგ სრულიად შესაძლებელია აუქციონი გამოცხადდეს მათ დაშლასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, სოფელ ნიგვზიანში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს უკიდურესად შეჭირვებულმა მოქალაქემ მიმართა თხოვნით, რომ ავარიული შენობის დაშლის შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მისთვის გადაეცათ შიფერი და სამშენებლო მასალა. საკრებულოს თავმჯდომარე თავის მხრივ დაპირდა, რომ შენობა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსვლის შემდეგ დაიშლებოდა და შესაძლებელი იქნებოდა ამ ადამიანისთვის დახმარების გაწევა, მაგრამ ასე არ მოხდა და ადამიანი დარჩა მოტყუებული.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **კარლო კვიტაიშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარეს შესთავაზა, რომ შეიკრიბოს გარკვეული ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ამ მიმართულებით. ისინი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეხვედებიან კონკრეტულ ადამიანებს და მიაწვდიან სათანადო ინფორმაციას, რის შემდეგაც არ არის გამორიცხული, რომ საკითხი ასე თუ ისე გადაწყდეს დადებითად. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ ანალოგიური პრობლემების წინაშე დადგებიან ხვალ და ზევ.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** თქმით, მუნიციპალიტეტის მიერ გასული წლის სტიქიასთან დაკავშირებით სათანადო დოკუმენტაცია გადაიგზავნა 13 მლნ ლარზე. მას მიაჩნია, რომ ამ კუთხით სასწრაფოდ დასაწყებია ერთობლივი სამუშაოები საკრებულოს წევრებს, მუნიციპალიტეტის მერსა და მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად, რათა დროულად მიეწოდოს

დაზუსტებული ინფორმაცია დასაპროექტებელი ობიექტების შესახებ, მით უმეტეს, რომ საკრებულოს წევრების მიერ სოფლების მიხედვით შესაბამისი ცხრილები უკვე მოწოდებულია იმასთან დაკავშირებით, თუ სად რაა გასაკეთებელი და უნდა მოხდეს მაქსიმალურად დაფინანსება, რათა რაც შეიძლება მეტი ობიექტი გაკეთდეს მიწოდებული ჩამონათვალიდან.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **ემზარ თევდორაძე** დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ უნდა იქნას მიღწეული შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტის მიერ რა თანხაც არის წარდგენილი, მოხდეს იმ ოდენობით დაფინანსება.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **გიორგი ფაცურიამ** აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმეორედ მიეწოდა აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაცია.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურული კუთხით გამოეყო დაახლოებით 900000 ლარი და კიდევ 900000 ლარი გამოეყოფა დამატებით, მაგრამ ამ თანხების სრულად ასათვისებლად უნდა მოესწროს პროექტების მომზადება. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გზასთან დაკავშირებით ქონდა საუბარი მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, რომლის განცხადებითაც პროექტის გაკეთება ამ ეტაპისთვის ვერ ესწრება. როგორც ცნობილია, გასულ წელს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგადაც 500 მეტრზე დაიგო ასფალტის საფარი, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო. აქედან გამომდინარე, ჭალის მოსახლეობას დაპირდნენ 400 მეტრამდე სიგრძის გზის მონაკვეთის გაკეთებას, მაგრამ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, 900000 ლარის გადანაწილება მოხდა ცხრა სოფელზე. შესაბამისად, თითოეულს ერგო 100000 ლარი, რომელთან დაკავშირებითაც ხდება პროექტის მომზადება. რაც შეეხება დამატებით გამოყოფილ 900000 ლარს, მისი ათვისება სავარაუდოდ, მიმდინარე წელს ვერ მოხდება, რადგან პროექტების გაკეთება ვერ მოესწრება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, პროექტს აკეთებს ის, ვინც გაიმარჯვა ტენდერში. აქედან გამომდინარე, მას უჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ რაში ჭირდება მაშინ მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს ინფრასტრუქტურის განყოფილება და რაში უხდებიან მათ ხელოვანს. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მათი წინააღმდეგი არ არის, მაგრამ მისთვის გაუგებარია რა საჭიროა ან ინფრასტრუქტურის განყოფილება ან შპს „რეალ-ექსპერტი.“

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივმა საპროექტო სამსახურმა უნდა იმუშაოს იმ კუთხით, რის დაპროექტებაც შეუძლიათ. შესაბამისად, მოიგებენ დროში და თანხაც არ დაიკარგება.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, **გიორგი ფაცურიამ** აღნიშნა, რომ 13 მლნ-თნ ერთად მოთხოვნილი იქნა 300000 ლარი საპროექტო სამუშაოებისთვის, მაგრამ მიიჩნევს, რომ პროექტებზე მაქსიმალურად უნდა იმუშაოს როგორც ადგილობრივმა საპროექტო სამსახურმა, ასევე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამაც, რადგან მოსალოდნელია რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ დამატებით გამოეყოს მუნიციპალიტეტს დაახლოებით 2 მლნ-მდე თანხა. ასევე, სასწრაფოდ დასაწყება სოფლის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებული პროექტების გაკეთება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, **ემზარ თევდორაძის** თქმით, შპს „რეალ-ექსპერტს“ მიაქვს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5 %, რაც საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ ადგილობრივი შესაბამისი სამსახურის მიერ ჩაბარებული სამუშაოები უფრო ჯობია, ვიდრე შპს „რეალ-ექსპერტი“-ს მიერ.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ გარკვეული პრობლემებია შპს „რეალ-ექსპერტი“-სთან დაკავშირებით. მეორე მხარეს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც სავარაუდოდ, სათანადო დონეზე ვერ წყვეტს ამ საკითხს. აქედან გამომდინარე, უნდა მიმართონ იმ ხალხს, რომლებიც გაატარებენ შესაბამის ღონისძიებებს. საკრებულომ მიწერა მუნიციპალიტეტის მერს, რომ აქვთ გარკვეული პრეტენზიები აღნიშნულ კომპანიასთან, რის გამოც 24 თებერვლამდე უნდა მოხდეს შეხვედრა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარის, **ზაზა წულაძის** თქმით, ქალაქის ცენტრში დაგებული ფილები არის ამოყრილი.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო